

LR-II



საერთო სამაგისტრო გამოცდა

2015

ინსტრუქცია

ტესტი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

- (1) წაკითხულის გააზრება (70 წუთი)
- (2) ანალიტიკური წერა (70 წუთი)
- (3) ლოგიკური მსჯელობა (70 წუთი)
- (4) რაოდენობრივი მსჯელობა (70 წუთი)

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

ტესტის ყოველ დავალებას ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან -0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.
თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.
არასწორი პასუხისთვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი. ტესტურ დავალებათა რვეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მონშდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გექნებათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით). პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეაგსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

	1.	2.	3.	4.	5.
ა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გისურვებთ წარმატებას !

ლოგიკური მსჯელობა

17 ამოცანა ◀▶ დრო - 70 წუთი

თითოეული ამოცანის პირობას ერთვის შეკითხვა სავარაუდო პასუხებით. გაიაზრეთ ამოცანა და სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის, რომელიც მართებულია პირობის მიხედვით.

ამოცანა 1.

მოცემულია მტკიცებულება:

- მხოლოდ ბოროტები არიან ძალადობის მომხრენი.

რომელი ეწინააღმდეგება მოცემულ მტკიცებულებას?

- (ა) ლევანი არც ბოროტია და არც ძალადობის მომხრე.
- (ბ) ლევანი ბოროტია, მაგრამ არ არის ძალადობის მომხრე.
- (გ) ლევანი ბოროტი არ არის, მაგრამ ძალადობის მომხრეა.
- (დ) ლევანი ბოროტია და ძალადობის მომხრეა.
- (ე) თუ ლევანი არ არის ძალადობის მომხრე, მაშინ ის არ არის ბოროტი.

ამოცანა 2.

სკოლაში უცხო ენების ოთხი წრეა. ცნობილია, რომ:

- თითოეული მოსწავლე დადის მხოლოდ ორ წრეზე.
- ყველა მოსწავლე, ვინც ინგლისურის წრეზე დადის, ასევე დადის გერმანულის წრეზე.
- ყველა მოსწავლე, ვინც ფრანგულის წრეზე დადის, ასევე დადის ესპანურის წრეზე.

ჩამოთვლილთაგან რომელ ორ წრეზე შეიძლება დადიოდეს ერთდროულად ამ სკოლის მოსწავლე?

- I. ინგლისურის და ფრანგულის
 - II. გერმანულის და ესპანურის
 - III. გერმანულის და ფრანგულის
- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

ამოცანა 3.

ერთმანეთის გვერდით, ერთ მწკრივში, მიმდევრობით განლაგებულია ხუთი სარეკლამო ბანერი. თითოეულ ბანერზე ხუთი კომპანიიდან („ალფა“, „ბეტა“, „გამა“, „დელტა“ და „ეტა“) ერთის რეკლამაა განთავსებული.

ცნობილია, რომ:

- „ალფა“ და „ბეტა“ კომპანიების რეკლამები ერთმანეთის უშუალოდ გვერდით მდებარე ბანერებზეა.
- „გამა“ და „დელტა“ კომპანიების სარეკლამო ბანერებს შორის ზუსტად ერთი ბანერია.

რომელი დასკვნა გამომდინარეობს მოცემული ინფორმაციიდან?

- (ა) „ალფას“ რეკლამა არ არის მარცხნიდან მეორე ბანერზე.
- (ბ) „ბეტას“ რეკლამა არ არის მარჯვნიდან მეოთხე ბანერზე.
- (გ) „გამას“ რეკლამა არ არის მარცხნიდან პირველ ბანერზე.
- (დ) „დელტას“ რეკლამა არ არის მარჯვნიდან მეხუთე ბანერზე.
- (ე) „ეტას“ რეკლამა არ არის მარცხნიდან მესამე ბანერზე.

ამოცანა 4.

კვლევები აჩვენებს, რომ დღეში თუნდაც მცირე ხნით ფიზიკური აქტივობა დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ ადამიანთა ჯანმრთელობაზე, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლებს მათ შრომის ნაყოფიერებასაც. შესაბამისად, ორგანიზაციებმა სპეციალურად უნდა გამოყოფონ დრო და სივრცე თანამშრომელთა ყოველდღიური ფიზიკური აქტივობებისათვის.

ჩამოთვლილთაგან რომელი გააძლიერებს ყველაზე მეტად გამოტანილი დასკვნის მართებულობას?

- (ა) ყველა თანამშრომლისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბი.
- (ბ) კომპანიები გამოყოფენ თანხებს თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისათვის.
- (გ) კომპანიების უმრავლესობაში თანამშრომლები ძირითადად უმოძრაოდ სხედან კომპიუტერებთან.
- (დ) კომპანიები ხშირად აწყობენ კორპორატიულ ტურნირებს, რომლებშიც კომპანიების ნაკრები გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან.
- (ე) თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი ხერხი მათი მატერიალურად წახალისებაა.

ამოცანა 5.

ხუთმა მოსწავლემ დაწერა სამი დავალებისაგან შემდგარი ტესტი. მათ მიერ მითითებული პასუხები მოყვანილია ცხრილში:

	ასმათი	ბერდია	გუგული	დემეტრე	ელისაბედი
დავალება 1	B	C	A	A	A
დავალება 2	C	C	B	B	D
დავალება 3	B	B	B	E	E

ცნობილია, რომ:

- თითოეულ დავალებას მინიმუმ ორმა მოსწავლემ გასცა სწორი პასუხი.
- ერთმა მოსწავლემ ყველა დავალებას სწორი პასუხი გასცა.
- ერთმა მოსწავლემ მაინც ყველა დავალებას არასწორი პასუხი გასცა.

რომელმა მოსწავლემ გასცა **სწორი პასუხი სამივე დავალებას?**

- (ა) ასმათმა.
- (ბ) ბერდიამ.
- (გ) გუგულიმ.
- (დ) დემეტრემ.
- (ე) ელისაბედმა.

ამოცანა 6.

მოცემულია, რომ ერთ დასახლებაში:

- არცერთი ქალი მასწავლებელი არ თამაშობს ლაკროსს.
- ქალ მასწავლებლებს შორის ერთი მაინც არის სპორტსმენი.
- ლაკროსის ყველა მოთამაშე არის სპორტსმენი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი **გამომდინარეობს** მოცემულობიდან?

- I. ზოგიერთი სპორტსმენი არ თამაშობს ლაკროსს.
 - II. ყველა კაცი მასწავლებელი არის სპორტსმენი.
 - III. ზოგიერთი ქალი მასწავლებელი არ არის სპორტსმენი.
- (ა) მხოლოდ I.
- (ბ) მხოლოდ II.
- (გ) მხოლოდ III.
- (დ) მხოლოდ I და III.
- (ე) არცერთი.

ამოცანა 7.

ამონარიდი ისტორიული ხასიათის ნაშრომიდან:

- ლაიბნიცმა, მეჩვიდმეტე საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ფილოსოფოსმა, ნიუტონზე ადრე გამოაქვეყნა დიფერენციალური აღრიცხვის თავისი ვერსია, თუმცა ლაიბნიცის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის დიფერენციალური აღრიცხვის იდეებს ლაიბნიცის ნაშრომის გამოქვეყნებამდე ათი წლით ადრე იყენებდა. ნიუტონი ასევე აღნიშნავდა, რომ მან ამ იდეების შესახებ ლაიბნიცს წერილობით შეატყობინა, სანამ ეს უკანასკნელი თავის ნაშრომს გამოაქვეყნებდა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ნიუტონის წერილები არ იძლეოდა მნიშვნელოვან ინფორმაციას დიფერენციალური აღრიცხვის შესახებ. ამიტომ ისტორიკოსებმა დაასკვნეს, რომ ნიუტონმაც და ლაიბნიცმაც დამოუკიდებლად აღმოაჩინეს და განავითარეს დიფერენციალური აღრიცხვა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ის დაშვება, რომელსაც არსებითად ეყრდნობიან ისტორიკოსები დასკვნის გამოტანისას?

- (ა) ნაშრომის გამოქვეყნებამდე ლაიბნიცს არავისთვის გაუზიარებია დიფერენციალური აღრიცხვის იდეები.
- (ბ) არც ნიუტონს და არც ლაიბნიცს დიფერენციალური აღრიცხვის არსებითი დეტალების შესახებ რაიმე სხვა წყაროდან ინფორმაცია არ მიუღიათ.
- (გ) ნიუტონს სჯეროდა, რომ მისი წერილებიდან ლაიბნიცს შეეძლო დიფერენციალური აღრიცხვის მნიშვნელოვანი იდეების გაგება.
- (დ) ნიუტონს ლაიბნიცის ნაშრომის გამოქვეყნებამდე არც ერთი შრომა არ გამოუქვეყნებია.
- (ე) მეჩვიდმეტე საუკუნემდე დიფერენციალური აღრიცხვა არავის აღმოუჩენია.

ამოცანა 8.

მოცემულია ოთხი პირობა:

- I. ყველა დათვი მტაცებელი ცხოველია.
- II. მტაცებელ ცხოველებს უყვართ დაბურული ტყეები.
- III. დათვების უმრავლესობა დაბურულ ტყეებში ბინადრობს.
- IV. ზუმბალოში ბევრი დაბურული ტყეა და იქ მტაცებელი ცხოველები ბინადრობენ.

ასევე მოცემულია წინადადება:

- ზუმბალოს დაბურულ ტყეებში დათვები ბინადრობენ.

იმისათვის, რომ მოცემული წინადადება იყოს ჭეშმარიტი,

- (ა) საკმარისია შესრულდეს ოთხივე პირობა ერთად, ხოლო არცერთი სამეულის შესრულება არ არის საკმარისი.
- (ბ) საკმარისია შესრულდეს I, II და IV პირობები.
- (გ) საკმარისია შესრულდეს I, III და IV პირობები.
- (დ) საკმარისია შესრულდეს II, III და IV პირობები.
- (ე) ოთხივე პირობის შესრულება მაინც არ არის საკმარისი.

ამოცანა 9.

კუნძულის თითოეული მაცხოვრებელი ან წრფელია ან მატყუარა. წრფელი ყოველთვის სიმართლეს ამბობს, ხოლო მატყუარა ყოველთვის იტყუება. თუმცა ყველასათვის ცნობილია, რომელია წრფელი და რომელი – მატყუარა. ამ კუნძულის ხუთ მაცხოვრებელს – A, B, C, D და E – შორის შედგა შემდეგი საუბარი:

- A: ჩვენ შორის მხოლოდ მე ვარ წრფელი.
- B: ჩვენ ყველანი მატყუარები ვართ.
- C: B წრფელია.
- D: A მატყუარაა.
- E: ჩვენ შორის ერთი მაინც წრფელია.

ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი ამ ხუთეულის შესახებ?

- (ა) მხოლოდ ორია წრფელი.
- (ბ) მხოლოდ ორია მატყუარა.
- (გ) მხოლოდ ერთია წრფელი.
- (დ) მხოლოდ ერთია მატყუარა.
- (ე) ყველა მატყუარაა.

ამოცანები 10-11 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

სოსოს მოგზაურობის დროს შეუძლია ნახოს მხოლოდ შემდეგი ქვეყნები:

- სამი კონტინენტური ქვეყანა: აშშ, კანადა და მექსიკა.
- სამი კუნძულოვანი ქვეყანა: კუბა, პუერტო-რიკო და იამაიკა.

მოგზაურობისას მას უწევს შემდეგი აუცილებელი პირობების გათვალისწინება:

- თუ არ ნახავს აშშ-ს, მაშინ აუცილებლად ნახავს სამივე კუნძულოვან ქვეყანას.
- თუ არ ნახავს იამაიკას, მაშინ აუცილებლად ნახავს მექსიკას.
- თუ არ ნახავს კანადას, მაშინ აუცილებლად ნახავს კუბას და პუერტო-რიკოს და არ ნახავს მექსიკას.

ამოცანა 10.

მოცემულთაგან რომელს ვერ შეძლებს სოსო ამ მოგზაურობისას?

- (ა) ნახოს ექვსივე ქვეყანა.
- (ბ) ნახოს მხოლოდ კუნძულოვანი ქვეყნები.
- (გ) ნახოს მხოლოდ კონტინენტური ქვეყნები.
- (დ) არ ნახოს არც კანადა და არც იამაიკა.
- (ე) ნახოს პუერტო-რიკო და არ ნახოს მექსიკა.

ამოცანა 11.

თუ სოსო მოგზაურობისას ნახავს არაუმეტეს სამ ქვეყანას და მათ შორის ერთი მაინც იქნება კონტინენტური, მაშინ რომელია ის ქვეყნები, რომლებსაც ის აუცილებლად ნახავს?

- (ა) მექსიკა და კანადა.
- (ბ) აშშ და კანადა.
- (გ) აშშ, პუერტო-რიკო და კუბა.
- (დ) აშშ, კანადა და მექსიკა.
- (ე) აშშ, კანადა და იამაიკა.

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა



საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობდა მხოლოდ შვიდი ქვეყანა: საფრანგეთი, უნგრეთი, ავსტრია, შვეიცარია, ჩეხეთი, უკრაინა და სერბეთი. თითოეული ქვეყანა ერთადერთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

- სპორტსმენთა ზოგიერთმა წყვილმა ერთმანეთს მაისურები გაუცვალა: პიტერმა მაისურები გაუცვალა დავიდს, ალექსსა და ტომს; ტომმა – ჰანსსა და ჟანს; გარდა ამისა, მაქსმა მაისური გაუცვალა ჟანს.
- აღმოჩნდა, რომ მაისურები ერთმანეთს მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის მოსაზღვრე ქვეყნების სპორტსმენებმა გაუცვალეს.

ამოცანა 12.

რომელ ქვეყანას წარმოადგენს მაქსი?

- (ა) საფრანგეთს
- (ბ) შვეიცარიას
- (გ) ჩეხეთს
- (დ) სერბეთს
- (ე) უკრაინას

ამოცანა 13.

სულ რამდენი ქვეყანაა ისეთი, რომლის წარმომადგენლის სახელის ზუსტად დადგენაა შესაძლებელი მოცემული ინფორმაციით?

- (ა) ორი
- (ბ) სამი
- (გ) ოთხი
- (დ) ხუთი
- (ე) ექვსი

ამოცანა 14.

თუ ცნობილია, რომ სერბეთის წარმომადგენელს ალექსი ჰქვია, მაშინ რომელ ქვეყანას წარმოადგენს დავიდი?

- (ა) საფრანგეთს
- (ბ) შვეიცარიას
- (გ) ჩეხეთს
- (დ) სერბეთს
- (ე) უკრაინას

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა

ლიტერატურულ კონკურსზე ორი დამოუკიდებელი თემა იყო წარმოდგენილი: **ემიგრაცია და იუმორი**. თითოეულ თემაზე იყო სამი კატეგორია: **პროზა, პოეზია და ესეი**. ორგანიზატორებმა თითოეული თემის თითოეულ კატეგორიას თითო კრებული მიუძღვნეს და, შედეგად, საკონკურსო ნაშრომების სულ ექვსი კრებული გამოსცეს.

ცნობილია, რომ:

- 1-ელი და მე-2 კრებულები ერთსა და იმავე კატეგორიას ეძღვნება.
- მე-3 და მე-4 კრებულები სხვადასხვა კატეგორიას ეძღვნება.
- იუმორისტულ ესეებს **არ** ეძღვნება მე-6 კრებული.
- 1-ელი და მე-4 კრებულებიდან ერთ-ერთი ეძღვნება პროზას ემიგრაციის თემაზე, ხოლო მეორე – იუმორისტულ პოეზიას.

ამოცანა 15.

ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) იუმორისტულ პოეზიას ეძღვნება 1-ლი კრებული.
- (ბ) პოეზიას ემიგრაციის თემაზე ეძღვნება მე-2 კრებული.
- (გ) იუმორისტულ პროზაულ ნაწარმოებებს ეძღვნება მე-3 კრებული.
- (დ) იუმორისტულ ესეებს ეძღვნება მე-5 კრებული.
- (ე) ესეებს ემიგრაციის თემაზე ეძღვნება მე-6 კრებული.

ამოცანა 16.

თუ მე-4 კრებული ეძღვნება პროზას, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) პროზას ეძღვნება მე-4 და მე-5 კრებულები.
- (ბ) პროზას ეძღვნება მე-4 და მე-6 კრებულები.
- (გ) პოეზიას ეძღვნება 1-ლი და მე-2 კრებულები.
- (დ) ესეებს ეძღვნება მე-3 და მე-5 კრებულები.
- (ე) ესეებს ეძღვნება მე-3 და მე-6 კრებულები.

ამოცანა 17.

თუკი მე-5 კრებული ეძღვნება პროზას, მაშინ ამ ექვსი კრებულიდან რამდენზე შეიძლება დანამდვილებით ითქვას, თუ რომელ კატეგორიასა და რომელ თემას ეძღვნება?

- (ა) მხოლოდ ორზე.
- (ბ) მხოლოდ სამზე.
- (გ) მხოლოდ ოთხზე.
- (დ) მხოლოდ ხუთზე.
- (ე) ექვსივეზე.

